# SMART business

Microsoft Dynamics 365 Business Central

# SMART LOCALIZATION

## Release Note

v. 2025.01

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

# Contents


1. შესავალი ........ 3
2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები ........ 4
3. SMART Payroll-ის განახლებები ........ 14
4. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები ........ 17
5. SMART Cash Flow -ის განახლებები ........ 18
6. SMART Procurement -ის განახლებები ........ 19
7. SMART Payroll Connector for HiBob -ის განახლებები ........ 20
8. SMART WHT -ის განახლებები ........ 21
9. SMART WHT for Georgia-ის განახლებები ........ 22
10. სისტემის განახლების პროცედურა ........ 25
11. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები ........ 26

# 1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2025.01 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონირების ცვლილებებს 01.10.24-დან 31.12.24-მდე.

## პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

## შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე

© 2025 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

## 2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| CORE | #58712 | საქონლის აპლიკაციის ფუნქციონალში შეცვლილია მაკორექტირებელი მარაგის გადაზიდვისთვის დაშვებული უარყოფითი ნაშთებისთვის პარამეტრი. ახლა, მაკორექტირებელი მარაგის გადაზიდვის შექმნისას "დოკუმენტის კოპირება" ფუნქციის გამოყენებით, დოკუმენტის სტრიქონებში "მაკავშირებელი ჩანაწერის" ველი ივსება კორექტირებული მარაგის გადაზიდვის ოპერაციით საქონლის ჟურნალიდან. | პროდუქციის მართვა | New feature |
| CORE | #60934 | FA მოდერნიზაციის აქტი განახლდა: დაპოსტვამდე ჩვენების დროს, დოკუმენტის ბარათი ღია რჩება დოკუმენტების სიაში გადამისამართების ნაცვლად. | ძირითადი საშუალებები | New feature |
| CORE | #65671 | ბრუნვითი უწყისის ვიზუალი გასწორდა შემდეგი ფუქციების გამოყენებისას: "თანხის ჩვენება დამატებით რეპორტინგის ვალუტაში", "ანგარიშის გაფართოება". | საოპერაციო ანგარიშგებები | Bugfix |
| CORE | #67159 | ცვლილებები განხორციელდა კომპლექტაციის შეკვეთის დაპოსტვაში, კერძოდ UKT ZED კოდები სტრიქონიდან დაპოსტვისას ივსება საქონლის ჟურნალის ჩანაწერებშიც. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #67394 | გაუმჯობესდა შესყიდვის შეკვეთის ველის "დარჩენილი წინასწარი გადახდის ოდენობის" გაანგარიშების ლოგიკა. სისტემა ახლა ითვალისწინებს წინასწარ გადახდის ოდენობებს, რომლებიც გამოყენებული იყო დაპოსტილ ინვოისებზე, შეკვეთის ნაწილობრივი მიღების შემთხვევაში. საბანკო გადახდის ჟურნალის ფორმას „დოკუმენტები გადახდისთვის" დაემატა საინფორმაციო ველი დარჩენილი წინასწარ გადახდის ოდენობის გამოსატანად. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **CORE** | #67406 | გასწორდა შეცდომა Sales Letter of Attorney ბარათზე, სადაც გაყიდვის დოკუმენტები და დაპოსტილი გაყიდვის გადაზიდვის დოკუმენტები არასწორად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, როდესაც Sales Letter of Attorney ნომერი ერთი და იგივე იყო სხვადასხვა მყიდველისთვის. | პროდუქციის მართვა | Bugfix |
| **CORE** | #67681 | ბუღალტრული ანგარიშის ბარათზე, დაემატა ინდიკატორი "არასაბალანსო ანგარიში". | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| **CORE** | #67738 | გასწორებულია ერორი "ფასის ცვლილების დოკუმენტის შექმნის" რეპორტში , გადაფასების ბაფერის შექმნისას , როდესაც მოცემულ პერიოდში კლიენტს დაუინვოისებელი გადაზიდვები აქვს. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| **CORE** | #67743 | გაყიდვების შეკვეთაში დამატებულია კონტროლი პროდუქციის თვითღირებულებაზე ქვემოთ დაპოსტვაზე. ფუნქციის გასააქტიურებლად, თქვენ უნდა ჩართოთ პარამეტრი - "გაყიდვების კონტროლი თვითღირებულების ქვემოთ", "გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანების აწყობის" გვერდზე.<br>ეს პარამეტრი რედაქტირებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვიღირებულების ავტომატური კორექტირება ხდება ყოველთვის. დაპოსტისას და დაპოსტვის დათვალიერებისას, სისტემას გამოაქვს შეტყობინება, თუ პროდუქტის გასაყიდი ფასი თვითღირებულებაზე დაბალია. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| **CORE** | #67745 | კლიენტის/მიმწოდებლის წმინდა ნაშთების ფუნქციონალის გამოყენებისას, დაემატა მომწოდებლის ტრანზაქციების გაფილტვრის შესაძლებლობა, ხელშეკრულების ჭრილში დავალიანების გაანალიზებისთვის. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| **CORE** | #67800 | გაუმჯობესდა გაყიდვების და შესყიდვების მოდულში წინასწარ გადახდების ფუნქციონალი. კერძოდ, გაყიდვის/შესყიდვის ორდერიდან წინასწარი გადახდის ინვოისის ან მისი კრედიტ მემოს დაპოსტვა უკვე შესაძლებელია, თუ მომხამრებლის/მომწოდებლის ბარათზე ხელშეკრულების | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოყენების ფუნქცია სავალდებულო ან ოფშენალია და გაყიდვის/შესყიდვის ორდერში არჩეულია ხელშეკრულება. | | |
| CORE | #67826 | ბანკის ჟურნალს დაემატა ექსელში კორექტირების ფუნქცია. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #67829 | გაუმჯობესებულია ძირითადი საშუალებების მოდული, კერძოდ როდესაც გამორთულია ფუნქცია "სმარტ ძირითადი საშუალებების ჩართვა", გამოიყენება მხოლოდ სტანდარტული ძირითადების ფუნქციონალი. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #67899 | გაუმჯობესდა კორესპონდენციის ფორმირება საქონლის ფასდაკლებით გაყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებული ჩანაწერებისთვის, როგორც სტრიქონის დონეზე, ასევე მთლიანად დოკუმენტისთვის. დამატებულია ახალი პარამეტრი, რომელიც უნდა იყოს ჩართული ბუღალტრული ანგარიშებისთვის, სადაც ეს ფასდაკლება უნდა იყოს გათვალისწინებული. | საოპერაციო ანგარიშგებები | New feature |
| CORE | #67901 | გაუმჯობესდა "ვალუტის კურსების ჩამოტვირთვის" სამუშაო "ერთი კომპანიის" გადამრთველის დამატებით. გააქტიურების შემთხვევაში ვალუტის კურსის იმპორტი განხორციელდება მხოლოდ მოქმედი კომპანიისთვის. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #68242 | "გაფართოებული აღწერილობის" ველის შევსება მარაგების გადაზიდვისა და მარაგების მიღების დოკუმენტებში, რომელიც იქმნება დოკუმენტის კოპირების ფუნქციის გამოყენებით, გამორთული ლაინების გადაანგარიშების პარამეტრთან ერთად. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #68670 | გასწორებულია შეცდომა, რომელიც წარმოიშვა კლიენტის/მიმწოდებლისთვის წინასწარი გადახდების დაპოსტვისას, რომელიც შეიქმნა ბანკის გადახდის ჟურნალში საბალანსო ანგარიშის გამოყენების გარეშე და დაკავშირებული იყო გაცემულ შეკვეთებთან. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| CORE | #68952 | გასწორებულია ძირითადი საშუალების ცვეთის არასწორი დათვლის ხარვეზი, რომელიც | ძირითადი საშუალებები | Bugfix |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მოდერნიზაციის და ცვეთის პერიოდის გაზრდის შემდგომ ფიქსირდებოდა. | | |
| CORE | #68975 | გასწორდა შესყიდვისა და გაყიდვების დოკუმენტების რევრსის ფუნქციონალი შემდეგი მეთოდების გამოყენებისას :"კორექტირება", "გაუქმება", "შექმენით მაკორექტირებელი საკრედიტო ჩანაწერი". ყველა შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დაკავშირებული გაუქმების ჩანაწერი იქმნება გაუქმებული დოკუმენტის ცხრილში, რომელიც ასახავს გაუქმებულ დოკუმენტებს. შესყიდვისა და გაყიდვის დოკუმენტების ფიქსირებული რევერსის ფუნქცინალი მუშაობს ყველა ხსენებული მეთოდით ინვენტარის, მომსახურების, არაინვენტარის ტიპის ერთეულებისთვის და ძირითადი საშუალებების შემცველი დოკუმენტებისთვის "შექმენით მაკორექტირებელი საკრედიტო ჩანაწერი" მეთოდით. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| CORE | #69011 | გასწორებულია ავანსის დოკუმენტების ბმის დარევერსების ლოგიკა, კერზოდ : ორდერზე გადახდის აპლიკაციის დარევერსებისას, ორდერის ნომერის ველი აღარ გასუფთავდება, თუ ეს გადახდა სხვა ტრანზაქციაზეცაა დაკავშირებული. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| CORE | #69016 | გამოსწორდა შეცდომა ორიგინალური ვალუტების შევსება payment tolerance და payment discount tolerance გატარებებში. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| CORE | #69499 | CD საბაჟო გადასახადის გვერდზე დაემატა ველი „არ შექმნა ინვოისი“. როდესაც გააქტიურებულია, შესყიდვის ინვოისები არ შეიქმნება მონიშნული დამატებითი ხარჯისთვის. | პროდუქციის მართვა | New feature |
| CORE | #69514 | დამატებულია ხელმოწერის ფუნქცია შესყიდვის მინდობილობის წერილს. რეპორტში 70859614 (მინდობილობის წერილი M-2) დაემატა ახალი ველები ახალი ლეიაუთების შესაქმნელად და ასარჩევად: ბუღალტერის თანამდებობა, ბუღალტერის სრული სახელი, დამადასტურებელის თანამდებობა, დამდასტურებლის სრული სახელი. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| CORE | #70065 | გაუმჯობესდა დეფოლტ ხელშეკრულების ფუნქციონალი. ახლა უკვე დოკუმენტებში შესაძლებელია ავტომატურად შევსებული დეფოლტ ხელშეკრულება ხელით წაშალოთ და გადაირჩიოთ "ხელშეკრულების ნომერი" ველში. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #70066 | შიეცვალა ორიგინალური ვალუტების შევსების ლოგიკა. მოგება ზარალის ბუღალტრული ანგარიშებისათვის ორიგინალურ ვალუტების ველები ბუღალტრულ გატარებებში აღარ შეივსება. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #70159 | დაიხვეწა დღგ-ს თანხის (ACY) გადაანგარიშება მთავარ ბუღალტრულ ჩანაწერებში, როდესაც მთავარ აწყობაში იცვლება დამატებითი საანგარიშო ვალუტა (ACY) . | საოპერაციო ანგარიშგებები | New feature |
| CORE | #70207 | შესწორებები გაკეთდა დეტალური G/L წყაროს ბრუნვის რეპორტზე, დაპოსტილ გაყიდვების ინვოისზე ტრანზაქციების კომპენსაციისთვის, რომელიც გაუქმებული იყო. ამჟამად, ასეთი ტრანზაქციები არ გამოჩნდება, თუ არ არის გააქტიურებული "Show Correction" პარამეტრი. | საოპერაციო ანგარიშგებები | Bugfix |
| CORE | #70541 | ცვლილებები განხორციელდა დაპოსტვისას Value Entry-ში, როდესაც W1 SMA საბუღალტრო რეგულაცია არის არჩეული General Ledger Setup-ში და ჩართულია SMART Core გაფართოება, ახლა ველი " SMA G/L Account No." შევსებულია. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #70569 | მომხმარებელებისა და მომწოდებლების ხელშეკრულებაში უკვე შესაძლებელია "ნომრის" ველის რედაქტირება, თუ ამ ხელშეკრულებაზე არ არის ჩანაწერები. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #70571 | "წინასწარ შესყიდვის" და "წინასწარი განცხადების" გვერდების საინფორმაციო შინაარსი გაფართოვდა დამატებითი ველებისა და ფაქტბოქსების ჩვენებით. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #70634 | დამატებულია ვალუტის კურსის ძიების დამატებითი მეთოდი. ამჟამად, შესაძლებელია ბოლოს შეყვანილი ვალუტის კურსის მოძებნის მეთოდის კონფიგურაცია დაპოსტვის თარიღამდე და ვალუტის კურსის მოძებნის მეთოდი მხოლოდ დაპოსტვის თარიღზე. ეს პარამეტრი მითითებულია ვალუტის ბარათზე. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| CORE | #70719 | გასწორებულია ნაწილობრივი გადაზიდვის ან მიღების შედეგად გამოწვეული პრობლემა, რაც იწვევდა თანამშრომლის ხელმოწერების წაშლას გაყიდვის და შესყიდვის ორდერში. თანამშრომლების ხელმოწერები ახლა სწორად ინახება. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| CORE | #70787 | "Fixed Asset Release Acts-ის" დაპოსტვისას ტიპით ""Not Valuable FA" გასწორდა შეცდომა, სადაც სისტემამ განაახლა ველი ""Depr. Costs Account" ძირითადი საშუალების ბარათზე და მოითხოვა, რომ შევსებული იყოს ველი "Depreciation Expense Acc." ძირითადი საშუალებების პოსტინგ ჯგუფში. | ძირითადი საშუალებები | Bugfix |
| CORE | #71003 | დაკორექტირდა დამრგვალების ლოგიკა ძირითადი საშუალებების ღირებულებაში შემავალი რეალიზებული საკურსო სხვაობების გაანგარიშებისას. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| CORE | #71326 | დამატებულია პირობა, რომლის მიხედვითაც ბანკის გადახდის ჟურნალის სტრიქონებში, დოკუმენტების ეფლიქეიშენის პარამეტრები შეინახება ეფლიქეიშენის გვერდის გახსნისა და დახურვის შემდეგ, თუ ტრანზაქციებზე ეფლიქეიშენი არ არის დაყენებული. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| CORE | #71329 | გაუმჯობესდა ძირითადი საშუალების მოდერნიზაციის აქტის დარევერსების ფუნქციონალი, კერძოდ, "კორექტირება" პარამეტრი დაემატა "დოკუმენტის კოპირება" ფორმას, რომელიც საშუალებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შექმნათ დოკუმენტი "კორექტირება" ტიპით. ასევე, დაკორექტირდა ლოგიკა, როდესაც "სტატუსის" ველი სუფთავდებოდა მაკორექტირებელი ძს მოდერნიზაციის აქტის დაპოსტვისას. | ძირითადი საშუალებები | New feature |
| CORE | #72873 | გასწორდა შეცდომა მარაგების ღირებულების კორექტირების ჩანაწერების დაპოსტვისას ხარჯების ანგარიშებზე წითელი სტორნოს მეთოდის გამოყენებით, როდესაც ჩართულია პარამეტრი "წითელი სტორნოს ჩართვა" მარაგების აწყობებში. | პროდუქციის მართვა | Bugfix |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **CORE** | #72907 | გაუმჯობესდა დაპოსტილი ავანსის ანგარიშგების გახსნა Vendor Ledger Entries გვერდიდან: იმისთვის, რომ გახსნათ დაპოსტილი ავანსის ანგარიშგება, თქვენ გჭირდებათ, რომ დააჭიროთ ღილაკის "დოკუმენტის ჩვენება". | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | New feature |
| **CORE** | #73030 | საბაჟო დეკლარაციის ხაზებში, ველებისთვის "Gross Weight and Net Weight" გაიზარდა სიმბოლოების რაოდენობა ათობითი წერტილის შემდეგ. | პროდუქციის მართვა | New feature |
| **CORE** | #73802 | შეცდომა გამოსწორებულია ბანკის გადახდის ჟურნალში: ავტომატური ეფლიქეიშენის შესრულების ფუნქციის გამოყენებისას, შეკვეთის ნომერის ველი ახლა შევსებულია შესაბამისი დოკუმენტის ნომრით (გაყიდვის ორდერი ან გაყიდვის ინვოისი), ასევე დაკავშირებულია წინასწარი გადახდის ინდიკატორი. | ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი | Bugfix |
| **GE** | #67513 | ბანკის ამონაწერის ბუფერში დაემატა ახალი ღილაკი სახელწოდებით "თარიღის შევსება". ეს ღილაკი უზრუნველყოფს, რომ თუ ამონაწერის თარიღი ცარიელია, მისი მნიშვნელობა შეივსება დოკუმენტის თარიღით და პირიქით. დღილაკზე დაჭერისას სისტემა ამოწმებს ამონაწერის თარიღი ცარიელია თუ არა; თუ ასეა, ის იღებს მნიშვნელობას დოკუმენტის თარიღიდან და ავსებს მას. თუ დოკუმენტის თარიღი ცარიელია, სისტემა იღებს მნიშვნელობას ამონაწერის თარიღიდან და ავსებს მას. | ნაღდი ფულადი სახსრების მართვა | New feature |
| **GE** | #67570 | მიღებული/გაცემული ზედნადებების სიაზე დამატებულია ველი "ცვლილებების იმპორტი", რომელიც შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდიდან განსაზღვრული თარიღის ჭრილში ახდენს ცვლილებების იმპორტს. | დღგ | New feature |
| **GE** | #67581 | მხოლოდ აპები* გაუმჯობესდა შემდეგი ლოგიკა: გაყიდვის შეკვეთაში ინვოისის ფასდაკლების მანუალურად მინიჭებისას, შეკვეთის დაპოსტვისას შექმნილ ზედნადებში ივსება სწორი ფასი. სტრიქონის ფასდაკლების შემთხვევაში მისი გათვალისწინებაც ხდება. | დღგ | New feature |
| **GE** | #68253 | მხოლოდ აპები* საგადასახადო სეთაფში დაემატა ახალი ფუნქცია "გაცემული ზედნადების მიბმა". | დღგ | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | როდესაც ეს ველი გააქტიურებულია, რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურის შექმნისას ამ რეალიზაციის ზედნადებებიც ემბევა ფაქტურებს, თუ ველი არაა აქტიური მაშინ ზედნადებები არ ემბევა ავტომატურად ფაქტურებს. | | |
| GE | #68736 | გამოსწორდა თანხის ეროვნულ ვალუტაში არასწორად ასახვის პრობლემა, როდესაც ვენდორის ბარათზე ან ხელშეკრულებაში გააქტიურებულია ოფცია "გადახდა ეროვნულ ვალუტაში", და გადახდის ფორმირება ხდება ბანკის გადახდების ჟურნალიდან, ფუნქციით "დაკავშირებული საავანსო გადახდები". | ნაღდი ფულადი სახსრების მართვა | Bugfix |
| GE | #69236 | მომსახურების საზომი ერთეულს, მაშინ პორტალზე (Rs.ge) რაოდნეობის ველში აგზავნის 0-ს. | დღგ | New feature |
| GE | #69512 | გაცემული ზედნადებების სიაზე გაუმჯობესებულია ღილაკების განლაგება მომხმარებლის უკეთესი გამოცდილებისთვის. ღილაკები „ჩამოტვირთვა თარიღების მიხედვით" და „ჩამოტვირთვა ნომრის მიხედვით" გადატანილია „ახალი"-დან „ჩამოტვირთვა"-ში. | დღგ | New feature |
| GE | #70157 | შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდთან (Rs.ge)  ინტეგრაციისთვის საჭირო ველები გადატანილია "გადასახადების კონფიგურაციის" გვერდიდან "შემოსავლების სამსახურთან ინტეგრაციის კონფიგურაციის" გვერდზე. | დღგ | New feature |
| GE | #70182 | დამატებულია ახალი ფუნქციონალი გადამზიდავისთვის, გაგზავნილ ზედნადებებში. დამატებულია ახალი ღილაკი "გაგზავნა ადა", რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ტრანსპორტის ტიპისთვის: გადამზიდავი- ავტომობილი. ტიპი: შიდა გადაადგილება, ტრანსპორტირებით და დაბრუნებით. ოპერაციის ტიპი: შიდა გადაადგილება. თუ "გაგზავნა გადამზიდავთან"  წარმატებით განხორციელდა Rs.ge-ზე, სტატუსი ზედნადებში იცვლება "გაგზავნილი გადამზიდავთან" მნიშვნელობაზე. ასევე, თუ ტრანსპორტირების ტიპი უდრის "გადამზიდავი- ავტომობილს", | დღგ | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ღილაკი "გაგზვანა და გააქტიურება" მიუწვდომელია. | | |
| GE | #70513 | პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო მიღებული ფაქტურის დაპოსტვასთან, რომელსაც ჰქონდა გაუქმებული ბმა ავანსის ფაქტურასთან, გასწორებულია. | დღგ | Bugfix |
| GE | #70568 | გასწორებულია პრობლემა რომელიც დაკავშირებული იყო მიღებული ზედნადების და შესყიდვის დოკუმენტის დაკავშირებასთან, როდესაც ხდებოდა ზედნადების კორექტირება და იმის მიუხედავად, რომ დაკავშირებული სტრიქონები იშლებოდა ზედნადებში, ისინი მაინც რჩებოდა ზედნადებთნ დაკავშირებული სტრიქონების ცხრილში. | დღგ | Bugfix |
| GE | #70766 | დაემატა ფუნქციონალი, რომელიც თავიდან აგვარიდებს ცარიელი ზედნადების შექმნას, მაგალითად, როდესაც გაყიდვის/ დაბრუნების დოკუმენტებში გვაქვს მხოლოდ მომსახურების ტიპის სტრიქონები. | დღგ | New feature |
| GE | #70958 | გასწორებულია საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო ფაქტურის წაშლის შემდეგ, შესაბამისი შესყიდვის/გაყიდვის დოკუმენტების სიის ველში 'ძირითადი ფაქტურა' და ფაქტბოქსში, ამ ფაქტურის ნომრის ჩარჩენასთან.  ახლა ფექტბოქსში და 'ძირითადი ფაქტურის' ველშიც ინფორმაცია ახლდება შესაბამისად. | დღგ | Bugfix |
| GE | #71001 | ჩამოწერის დოკუმენტის გატარებებისას, რომელიც დაბეგვრადია მოგების გადასახადით -> მოგების გადასახადის ვალდებულების დარიცხვა ტარდება ვენდორის ბარათზე, რომელიც გაწერილია Tax Setup ge-ზე. | რეპორტინგი | New feature |
| GE | #71296 | როდესაც იპოსტება მიღებული კორექტირების ანგარიშ-ფაქტურა, სისტემა ითხოვს მომხმარებლისგან დადასტურებას, თუ სურს, გააუქმოს წინა ინვოისის გატარებები და დაპოსტოს კორექტირება. თუ დადასტურდა, სისტემა დარევერსებს მთავარი ანგარიშ-ფაქტურის ჩანაწერებს და გამოიყენებს პოსტინგის თარიღს დ. დადასტურებული კორექტირებიდან. ასევე, მთავარ ინვოისზე პოსტინგის დარევერსების შემდეგ, პოსტინგის | დღგ | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სტატუსი არ განახლდება "დაპოსტილი"-დან "ღია"-ზე. | | |
| **GE** | #72937 | გასწორდა დაკორექტირებულ მიღებულ ზედნადებში ლაინების წაშლის პრობლემა 'განახლების შემოტვირთა' ფუნქციის გამოყენებისას, ეხლა მოცემული ღილაკი დაბლოკილია კორექტირებული ზედნადებისთვის. | დღგ | Bugfix |
| **GE** | #73010 | ვალუტის კურსის იმპორტის ფუნქციონალე (NBG-დან) გადატანილია Smart Accounting-დან Smart GE Core-ში. ეს განახლება უზრუნველყოფს, რომ ფუნქციონალი  ხელმისაწვდომი იყოს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იყენებენ მხოლოდ ხელფასების მოდულს. | ნაღდი ფულადი სახსრების მართვა | New feature |
| **GE** | #73410 | ბუღალტრულ ანგაიშზე დაემატა ახალი ველი "არ შეიქმნას ფატქურის სტრიქონი". როდესაც ეს ველი გააქტიურებულია კონკრეტულ ანგარიშზე, ამ ანგარიშთან დაკავშირებული ნებისმიერი სტრიქონი არ გადავა გაყიდვების ინვოისიდან, შესაბამის ანგარიშ-ფაქტურაში. ფუნქციის გამოყენება ხდება შემდეგი სიტუაციებში: ფაქტურის შექმნა გაყიდვების ინვოისიდან: როდესაც ფაქტურა იქმნება გაყიდვების ინვოისიდან, 'ფაქტურის შექმნა' ღილაკის გამოყენებით.  მომხმარებლის ნაგარიშ-ფატქურების ანალიზის რეპორტიდან: როდესაც ფაქტურის შექმნა ხდება ფუნქციით 'ფაქტურის შექმნა', კონკრეტული თარიღის ჭრილში, განსაზრღვული კლიენტის/კლიენტებისთვის. | დღგ | New feature |

# 3. SMART Payroll-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| **GE** | #69846 | სახელფასო ანგარიშგების ფორმირების გვერდიდან წაიშალა წყარო „ფიზ. პირის შემოსავლების ჩანაწერი“, რადგან მოცემული წყარო არ აგენერირებდა ინფორმაციას ანგარიშგებაში და ასევე არ იყო გამოყენებული კლიენტების მიერ. | ხელფასის დაანგარიშება | Bugfix |
| **GE** | #73132 | საქართველოსთვის დაემატა ფუნქციონალი, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს თაიმშიტის გახსნა, იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ პერიოდში ფიქსირდება 'შუალედური' ტიპის გადახდა. ამ შემთხვევაში კონტროლი მოეხსნა გადახდის სახელფასო ჩანაწერებს და დარჩა მხოლოდ სახელფასო სტატუსებზე. | თაიმშიტები | New feature |
| **CORE** | #69994 | კომპანიებისთვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა კომპანიის საბანკო ანგარიშებიდან სხვადასხვა თანამშრომლის საბანკო ანგარიშებზე რეგულარული გადახდების პრაქტიკა, შექმნილია გვერდი „თანამშრომლების საბანკო ანგარიშის მატრიცა“. გამგზავნისა და მიმღების საბანკო ანგარიშების მატრიცის მეშვეობით, კომპანიას შეუძლია თავიდან აიცილოს ასეთი თანამშრომლებისთვის, თანამშრომლის ბარათის ინფორმაციის მუდმივი განახლების აუცილებლობა. | სავალუტო ოპერაციების დაპოსტვა თანამშრომლებისთვის | New feature |
| **CORE** | #73271 | შეიცვალა ბიულეტინის ბრძანების შემოწმება, მისი დარელიზების მომენტში, რაც ხელს შეუშლის ბრძანების სტრიქონების ჩაწერას რომლებსაც ექნება პარამეტრი "თაიმშიტის გარეშე". | დროის უწყისი | Bugfix |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| CORE | #73072 | გასწორდა ხარვეზი, რომელიც დაკავშირებული იყო ხელშეკრულებაში გათავისუფლების სტრქიონის დადასტურების დროს, თაიმშიტის სტატუსის და სახელფასო სტატუსის შეცდომით წაშლასთან. | პერსონალის სია | Bugfix |
| CORE | #67897 | ველი "ბალანსი დასრულების თარიღისთვის" დაემატა შვებულების ბალანსის გვერდზე. ეს თარიღი შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი შვებულების ბალანსის ავტომატური შექმნის დასარეგულირებლად. დასრულების თარიღის დაყენებისას, ბალანსის შექმნა მოწმდება ბალანსის დასრულების თარიღამდე. | პერსონალის სია | New feature |
| CORE | #70265 | შვებულებისთვის, რომლებსაც აქვთ პარამეტრები: "დამოკიდებულია სამუშაო დროზე" = დიახ და "შეამოწმეთ ბალანსი თარიღზე" = არა, დღეების განსაზღვრის მექანიზმი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, განახლებულია დარიცხვის ჩანაწერის დასრულების თარიღზე. ეს თავიდან აიცილებს სიტუაციებს, როდესაც თანამშრომელი არ გამოიმუშავებს ყველა დაგეგმილ დღეს (ის არ მუშაობდა ან უკვე აქვს არყოფნის ბრძანება, შესაბამისად, დღეები გამოირიცხება ბალანსის გამოთვლიდან), მაგრამ გამოყენებული დღეები კვლავ იქნება ასახული დარიცხვის ოპერაციაში და მივიღებთ უარყოფითი ბალანსს მისი დასრულების თარიღისთვის, რაც არასწორია. | პერსონალის სია | New feature |
| CORE | #70369 | დაემატა ფუნქციონალი პოზიციის თემფლეითის შექმნისთვის, რომელიც გამოიყენება ახალი პოზიციის შესაქმნელად. | პერსონალის სია | New feature |
| CORE | #70946 | „შრომის ხელშეკრულებაში“ დაემატა ოფცია ნომრების სერიის ასარჩევად, რომელის მიხევდითაც შეიქმნება თანამშრომლის ბარათის, „შრომითი | პერსონალის სია | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ხელშეკრულების“ დადასტურების შემდეგ. ასევე, დამატებულია თანამშრომლის დეფოლტი ნომრების სერიის არჩევის შესაძლებლობა „სამუშაო ხელშეკრულების ტიპის კოდის“ მიხედვით. | | |
| **CORE** | #69573 | სიის გვერდებიდან შესაბამისი ინფორმაციის დასაგენერირებლად, შემდეგ ობიექტებს დაემატა არედაქტირებადი ველები:<br>1. ველი "სრული სახელი":<br>• ფიზ. პირის დოკუმენტი<br>• ფიზ. პირის  ნათესავი<br>• ფიზ. პირის სამედიცინო ინფორმაცია<br>• ფიზ. პირის კვალიფიკაცია<br>• ფიზ. პირის სამუშაო ისტორია<br>2. ველები "სრული სახელი", "სრული სახელი (ინგლისური)", "ორგანიზაციული ერთეულის კოდი", "ორგანიზაციული ერთეულის სახელი", "თანამდებობის კოდი", "სამსახურის დასახელება", "გლობ. ანალიტიკა 1", "გლობ. ანალიტიკა 2":<br>• შრომითი ხელშეკრულების სტრიქონი (70950591)<br>• რომითი ხელშეკრულების სტრიქონები (70950606, სია) | პერსონალის სია | New feature |

# 4. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| **CORE** | #69230 | სალიზინგო გადახდებისთვის კლიენტის შექმნის პროცესის გასაუმჯობესებლად Natural Payment Bunch-ში განხორციელდა მოდიფიკაცია, რომელიც საშუალებას გაძლევთ შექმნათ კლიენტი ლიზინგის ობიექტის ბარათიდან და დაუკავშიროთ იგი გამყიდველს საკონტაქტო ბარათის მეშვეობით, ბიზნეს კონტაქტის კავშირის ფუნქციის გამოყენებით. ამ პროცესში გამოიყენება IFRS 16-ის პარამეტრებში შერჩეული მომხმარებლის შაბლონი. | SMART IFRS16 Leasing | New feature |

# 5. SMART Cash Flow -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| **CORE** | #26884 | გამოვიდა ახალი გადაწყვეტა - SMART Cash Flow. ეს გადაწყვეტა შექმნილია ფულადი სახსრების ეფექტური მართვისთვის, რაც უზრუნველყოფს ვალდებულებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ზუსტ კონტროლს. სისტემა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შექმნან გადახდის განრიგი ანგარიშებზე ან კონტრაქტებზე დაყრდნობით, დაარედაქტირონ ოპერაციების თანხები და თარიღები ფულადი სახსრების მოძრაობის ჟურნალში და ავტომატურად გადაიტანონ გადახდის მონაცემები ფინანსურ ჟურნალებში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გადახდის მენეჯმენტის მაღალ მოქნილობასა და სიზუსტეს, რაც ამცირებს ხელით შეყვანის საჭიროებას და ზრდის ფინანსურ ეფექტურობას. | SMART CashFlow | New feature |

# 6. SMART Procurement -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| **CORE** | #69655 | SMART Procurement უკვე ხელმისაწვდომია SaaS -ზე, როგორც გადაწყვეტილება მატერიალური აქტივების და სერვისების შესყიდვის ავტომატიზაციისთვის. ეს საშუალებას გაძლევთ შექმნათ რთული სამუშაო პროცესები შესყიდვების დეპარტამენტისთვის და აკონტროლოთ მოთხოვნების შესრულების ვადები. ძირითადი მახასიათებლები მოიცავს შესყიდვის მოთხოვნების შეგროვებას და დადასტურებას, ამ მოთხოვნების განაწილებას მენეჯერებს შორის, მომწოდებლების იდენტიფიცირებას, გადარიცხვის ბრძანებების შექმნას და გაცემის დოკუმენტებს, ასევე თითოეული მოთხოვნის სტატუსის თვალყურის დევნებას. პროდუქტის უპირატესობებში შედის ჰოლისტიკური პროცესი მოთხოვნიდან გაცემამდე, ვადების, ფასების და რაოდენობის კონტროლი. ძირითადი პროცესების ავტომატიზირებით, SMART Procurement აუმჯობესებს შესყიდვების დეპარტამენტის მუშაობის ეფექტურობასა და გამჭვირვალობას. SMART Budgeting აპლიკაციასთან ერთად, ის არა მხოლოდ ახდენს შესყიდვების ავტომატიზირებას, არამედ უზრუნველყოფს შესყიდვების მონაცემების ბიუჯეტის კონტროლს. | SMART Procurement | New feature |

# 7. SMART Payroll Connector for HiBob -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| **CORE** | #70549 | SMART Payroll Connector – ის აღწერა HiBob-ისთვის.<br>SMART Payroll Connector გადაწყვეტა HiBob-ისთვის ახლა ხელმისაწვდომია SaaS-ზე, როგორც აპლიკაცია HiBob HR პლატფორმიდან ინფორმაციის უწყვეტი ინტეგრაციისთვის SMART Payroll აპლიკაციაში. SMART Payroll გადაწყვეტა და SMART Payroll Connector HiBob-ისთვის უზრუნველყოფს მონაცემთა უწყვეტ გადაცემას HiBob სისტემიდან და მის დამუშავებას, კონკრეტულად SMART Payroll-ში შესაბამისი პროცესების შექმნას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.<br>ეს ფუნქციონალი ამცირებს ხელით სამუშაოს მოცულობას და ასევე ეხმარება თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის მუდმივი დუბლირება ორ სისტემაში. | SMART Payroll Connector for HiBob | New feature |

# 8. SMART WHT -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| **GE** | #70652 | გასწორდა პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო მომწოდებლის ბარათიდან შესყიდვის შეკვეთის შექმნასთან, როდესაც მოცემული მომწოდებლისთვის არ გამოიყენებოდა ხელშეკრულება და შევსებული იყო საშემოსავლოს ბიზნეს პოსტინგ ჯგუფი. | SMART WHT | Bugfix |

# 9. SMART WHT for Georgia-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

| ქვეყნის კოდი | ID | კონტენტი | ფუნქციონალური სივრცე | ცვლილების ტიპი |
|---|---|---|---|---|
| GE | #62931 | საავანსო დოკუმენტში, როდესაც ტიპი=თანამშრომლის შესყიდვა, დაემატა საშემოსავლოს და საპენსიოს ჩანაწერები, რაც აკეთებს დარიხული საშემოსავლოს და დარიცხული საპენსიოს შუალედური ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების გადატანას საშემოსავლოს და საპენსიოს ვენდორებზე. (როგორც ეს კეთდება ეფლიქეიშენის დროს, შესყიდვის და საბანკო ჟურნალის საფუძველზე განხორციელებული გადახდის შემთხვევაში) | SMART WHT for Georgia | New feature |
| GE | #54847 | როდესაც მარაგების ჩამოწერის დოკუმენტში, ოპერაცია იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, სისტემა ჯერ ქმნის როგორც საშემოსავლო გადასახადის, ასევე საპენსიო გადასახადის ჩანაწერებს დარიცხვის ანგარიშებზე, შემდეგ კი გადააქვს შესაბამის საშემოსავლოს და საპენსიოს მომწოდებლის ანგარიშებზე. გარდა ამისა, იქმნება მომწოდებლებისთვის ვენდორის ლეჯერის ჩანაწერები. | SMART WHT for Georgia | New feature |
| GE | #69639 | დაემატა "Double Taxation Agreement (DTA)" ველი მომწოდებლუს ხელშეკრულების ბარათზე.მოწმოდებლის ხელშეკრულების შექმნის დროს ველი დეფოლტად არ არის გააქტიურებული, რომლის ცვლილებაც შესაძლებელია; თუ ქვეყნების/რეგიონების ცხრილზე "Double Taxation Agreement" ველი = დიახ და გამყიდველის ხელშეკრულების ბარათზეც "Double Taxation Agreement (DTA)"=დიახ -> შესყიდვის ორდერის ან შესყიდვის ინვოისის შექმნისას -> ველი "Double Taxation Agreement" ექნება მონიშნული დეფოლთად, რომლის ცვლილებაც შესაძლებელია; თუ ერთ ერთი მათგანი მაინც (ქვეყანაზე ან ხელშეკრულებაზე) ველი არ არის გააქტიურებელი -> შესყიდვის | SMART WHT for Georgia | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ორდერის ან შესყიდვის ინვოისის შექმნისას -> DTA მნიშვნელობა არ იქნება გააქტიურებული და მისი რედაქტირება არ არის შესაძლებელი. | | |
| **GE** | #69705 | საშემოსავლოს დეკლარაციისთვის გაიზარდა ისმბოლოების რაოდენობა შემდეგი ველებისთვის: "თანხის მიმღების სახელი/სამართლებრივი ფორმა" და "თანხის მიმღების გვარი/დასახელება" | SMART WHT for Georgia | New feature |
| **GE** | #70081 | "Legal Entity" WHT Business Posting Group-ის ცხრილზე. საშემოსავლოს დეკლარაციაში შემდეგი ლოგიკით იქნება შევსებული ველები "თანხის მიმღების სახელი/"სამართლებრივი ფორმა" და "თანხის მიმღების გვარი/დასახელება"  იმ შემთხვევაში თუ "Legal Entity" არის გააქტიურებული საშემოსავლოს დეკლარაციის ამოღებისას -> "თანხის მიმღების სახელი/"სამართლებრივი ფორმა"=Organization Form და "თანხის მიმღების გვარი/დასახელება"=Full Name-ის ველის მნიშნელობა მომწოდებლის ბარათიდან; იმ შემთხვევაში თუ "Legal Entity" არ არის გააქტიურებული საშემოსავლოს დეკლარაციის ამოღებისას -> > "თანხის მიმღების სახელი/"სამართლებრივი ფორმა"=პირველი სიტყვა მომწოდებლის ბარათზე არსებული Full Name-ის ველის მნიშვნელობიდან და "თანხის მიმღების გვარი/დასახელება"=Full Name-ის ველის სფეისის შემდგომი ტექსტი. | SMART WHT for Georgia | New feature |
| **GE** | #70636 | პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო დაპოსტილი შესყიდვის დოკუმენტიდან ეფლიქეიშენის გაუქმებასთან, როდესაც ოპერაციაში მონაწილეობდა საშემოსავლოს ჩანაწერებიც, გასწორებულია. ეხლა ეფლიქეიშენის გაუქმება მუშაობს შესყიდვის დოკუმენტიდან მუშაობს იმავე პრინციპით, როგორც პირდაპირ ვენდორის წიგნის ჩანაწერიდან გაუქმებისას. | SMART WHT for Georgia | Bugfix |
| **GE** | #73396 | განახლდა საპენსიო დეკლარაცია, რათა გაუმჯობესდეს ჩანაწერების დამუშავება, როდესაც თანამშრომელი ასევე დამატებულია როგორც | SMART WHT for Georgia | New feature |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მომწოდებელი. შეჯამება საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით - ეს ველი საშუალებას გაძლევთ განსაზღვროთ, უნდა შეაჯამოს თუ არა სისტემამ თანხები საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით კონკრეტულ პერიოდზე. ნულოვანი სტრიქონების გამოტოვება - ეს ველი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ, უნდა შევიდეს თუ არა დეკლარაციაში ნულოვანი საპენსიო თანხების მქონე სტრიქონები. | | |

# 10. სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების დაყენება ხორციელდება ხელით.

# 11. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად ( PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.